

## “ქართული დიასპორა ქუთაისის განვითარებისათვის”

ოქტომბერი 2009 – მაისი 2011 წელი. დაფინანსებულია ევრო კომისიისა და გაეროს მიგრაციისა და განვითარების ერთობლივი ინიციატივის ფარგლებში

ჰოლანდიური არასამთავრობო ორგანიზაციის `ქართული დიასპორა` და ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს ერთობლივი პროექტი მიზნად ისახავს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას და ბიზნეს სექტორის განათლების დონის ამაღლებას საქართველოში. პროექტის პარტნიორები არიან ქუთაისის თვითმმართველობა, ქუთაისის რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატა, აღმოსავლეთ-ევროპული ცენტრი ჰოლანდიაში; ჰოლანდიის სავაჭრო პალატა; ფონტისის უნივერსიტეტი.

პროექტის ფარგლებში:

- ქუთაისში ჩატარდა საბაზისო კვლევა და მომზადდა საგანმანათლებლო პროგრამები მენეჯერებისა და თანამშრომლებისათვის
- მოეწყო 3 თვიანი სასწავლო კურსი, რომლის ფარგლებშიც სერთიფიკატი გადაეცა 2000 მონაწილეს
- დაფუძნდა და ფუნქციონირებს ბიზნეს-საინფორმაციო ცენტრი
- შეიქმნა ექსპერტთა და ადგილობრივი კომპანიების მონაცემთა ბაზა
- ფუნქციონირებს ვებ-გვერდი, რომელიც ონლაინ კონსულტაციებს უწევს მომხმარებლებს
- გაიმართა საერთაშორისო ბიზნეს ფორუმი "ვაკეთოთ ბიზნესი ერთად", რომლის ფარგლებშიც მოეწყო ადგილობრივი ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა